დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

პერსონალის მიღების წესი

თბილისი

წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“ წესდების საფუძველზე.

წინამდებარე დოკუმენტი ადგენს სასწავლებლის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მოწვეული პედაგოგების, პდს-ტუტორების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიღების (ასევე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის) წესს.

I თავი

პერსონალის მიღება

1. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის მიღება, თანახმად „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა, წარმოებს ღია და საჯარო კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით, რაც უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალის საკონკურსო კომისიის დებულების პირობებით. კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატები წარედგინება რექტორის საბჭოს და თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობა:

- პროფესორი;
- ასოცირებული პროფესორი;
- ასისტენტ-პროფესორი;
- ასისტენტი;

2.1 პროფესორი - უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო - კვლევით მუშაობას;

2.2 ასოცირებული პროფესორი - მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

2.3 ასისტენტ - პროფესორი - თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით პროცესში;

2.4 ასისტენტი - ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ - პროფესორის ხელმძღვანელობით;

შენიშვნა[1]: დტსუ-ს (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ჩანაწერების გათვალისწინებით) ყავს აფილირებული და არაფილირებული აკადემიური პერსონალი; აკადემიური პერსონალის აფილირება გულისხმობს დტსუ-სთან განსაკუთრებულ ურთიერთობას, რაც ნიშნავს აკადემიური პერსონალის საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში აქტიურ მონაწილეობას, კერძოდ:

- ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას, რომლის შედეგები ეთვლება მხოლოდ დტსუ-ს;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას;
- სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესში ჩართულობას (იხ. დტსუ-ში აფილირების წესი და პირობები)

შენიშვნა[2]: კლინიკურ მიმართულებებში აკადემიურ თანამდებობაზე პირის არჩევა, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა, მასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტებისა და ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა, ასევე ითვალისწინებს დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნებს.

3. აკადემიურ პერსონალის გარდა უნივერსიტეტში ხორციელდება მოწვეული პედაგოგებისა და პდს-ტუტორების მიღება, რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებით დატვირთვის შესაბამის ზღვრული ოდენობის დადგენის შემდეგ, დაინტერესებული პირების პირადი განხცადებისა და დაწესებულების მიერ შემუშავებული ნუსხის მიხედვით წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისა და შეფასების საფუძველზე.

3.1 მოწვეული პედაგოგი - აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, პრაქტიკული მეცადინეობების, სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეული პირები.

3.2 სასწავლო კურსის - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების პდს ტუტორიალების - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სესიების წარმართვისა და სესიების მსვლელობისას პროგრამის სტუდენტების პროგრესზე ზედამხედველობისა და შესაბმისობის აღრიცხვის მიზნით მოწვეული პირები.

3.3 მოწვეული პედაგოგების კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ფასდება დტსუ სასწავლო დეპარტამენტის მიერ იმ კურსის (კურსების) ხელმძღვანელთან ერთად და მისი (მათი) თანხმობით, რომელშიც იგეგმება მოწვეული პედაგოგის მონაწილეობა;

შენიშვნა[3]: კლინიკურ მიმართულებებში პირის მოწვევისას, ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი პირობების გარდა, დტსუ-ს მიერ მხედველობაში მიიღება დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნები.

3.4 სასწავლო დეპარტამენტი (დადებითი დასკვნის შემთხვევაში) წარუდგენს კანდიდატურას რექტორის საბჭოს. დადებით დასკვნის გაზიარების საფუძველზე ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, სადაც მხარეების უფლებები და მოვალეობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კნონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებითა და შინაგანაწესით.

4. უნივერსიტეტში ცენტრალურ სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში მეცნიერ - თანამშრომლებისა და ლაბორატორიის მუშაკების მიღება ხორციელდება ღია და საჯარო კონკურსის ან/და ვაკანტურ ადგილებზე პირადი განცხადებისა და ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის დებულებით დადგენილი პროცედურების გავლის, კრიტერიუმების დაკმაყოფილებისა და კომპეტენცების დადასტურების შემთხვევაში, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის მიერ რექტორის საბჭოსათვის შერჩეული კანდიდატების წარდგენითა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

4.1 ცენტრალურ სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში ვაკანტურ ადგილებზე ღია და საჯარო კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში კონკურსის შესახებ ცხადდება საჯაროდ, განისაზღვრება კანდიდატის მიმართ დადგენილი კრიტერიუმები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, საკონკურსო განაცხადის წარმოდგენისა და მათი განხილვის ვადა, მტკიცდება საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის შერჩევისა და რექტორის საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე.

4.2 მეცნიერ თანამშრომლების რანგირების, მათ მიმართ წაყენებული კრიტერიუმების, უნივერსიტეტში დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების საკითხები მოწესრიგებულია ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის დებულებით.

5. ადმინისტრაციული და დამხმარე საშტატო ერთეულის მიღება წარმოებს პირადი განცხადების საფუძველზე, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების გამართული ფუნქციონირების მიზნით, უნივერსიტეტის დებულების, სტრუქტურული ერთეულების დებულებითა და უფლებამოსილების, დადგენილი პროცედურისა და ორგანიზაციის შინაგანაწესის პირობების გათვალისწინებით. თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

II თავი

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი

1. **აკადემიური პერსონალთან შრომითი ურთიერთობა შესაძლოა შეწყდეს:**

1.1 შრომითი ხელშეკრულებისა და არჩევის ვადის (ასეთის არსებობის შემთვევაში) ვადის გასვლის გამო;

1.2 ატესტაციის შედეგების გათვალისწინებით;

1.3 საატესტაციო განაცხადის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობით;

1.4 პირადი განცხადების საფუძველზე;

1.5 ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას;

1.6 შრომითი კოდექსისა და დაწესებულების შიდა ნორმატიული აქტებისა სისტემატიური დარღვევის გამო;

1.7 ისეთი გარემოების დადგომის შემთხვევაში, რაც გამორიცხავს სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას 6 თვეზე მეტი ვადით.

1.8 სასწავლებლის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისას;

1.9 გარდაცვალება;

2. მოწვეული პერსონალის/პდს ტუტორებთან შრომითი ურთიერთობა შესაძლოა შეწყდეს:

2.1 შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

2.2 პირადი განცხადების საფუძველზე;

2.3 ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას;

2.4 შრომითი კოდექსისა და დაწსებულების შიდა ნორმატიული აქტების სისტემატიური დარღვევის გამო;

2.5 ისეთი გარემოების დადგომის შემთხვევაში, რაც გამორიცხავს სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას 6 თვეზე მეტი ვადით.

2.6 სასწავლებლის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისას;

2.7 გარდაცვალება;

3. ადმინისტრაციული და დამხმარე საშტატო ერთეულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა:

3.1 სამუშაოს შესრულების ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შემთხვევაში - სამუშაოს შესრულების გამო;

3.2 შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

3.3 პირადი განცხადების საფუძველზე;

3.4 ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას;

3.5 არღვევს მოქმედ შრომით კოდექს და დაწესებულების შიდანორმატიულ აქტებს.

3.6 გარემოებები, რაც გამორიცხავს სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას 6 თვეზე მეტი ვადით.

3.7 სასწავლებლის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისას;

3.8 გარდაცვალება;

III თავი

აკადემიური პერსონალი, მისი არჩევის წესი, საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბებისა და მუშაობის წესი

აკადემიური პერსონალი - აკადემიური იერარქიის ძირითადი რგოლია, რომელიც აერთიანებს პროფესორთა შემადგენლობას – პროფესორს, ასოცირებულ პროფესორს, ასისტენტ - პროფესორს, ასისტენტს.

აკადემიური თანამდებობა გულისხმობს პირის აკადემიური და მეცნიერული მიღწევების აღიარებას და გამორჩეულ პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი ამოცანების განხორციელების საქმეში.

1. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1.1 დტსუ-ში აკადემიური თანამდებობის დაკავება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სასწავლებლის დებულების, შიდა ნორმატიული აქტებისა და ამ წესის მოთხოვნათა შესაბამისად, ღია და საჯარო კონკურსის ჩატარების გზით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

1.2 აკადემიური თანამდებობის დაკავება შეუძლია ყველა მსურველს, რომელიც შესაბამისი კონკურსისთვის დადგენილ ვადაში შემოიტანს განაცხადს კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად და რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს.

1.3 პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა უვადოდ. ამასთან, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ პროფესორთა აკადემიური პერსონალი ექვემდებარება ატესტაციას, რის შესახებაც ატესტაციამდე არაუგვიანეს 2 თვისა, საჯარო შეტყობინებით (ვებ-გვერდზე გამოქვეყნება, საჯარო განცხადება) ეცნობებათ შესაბამის პირებს. ატესტაციაში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში უნივერსიტეტის უფლებამოსილია აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთან შეწყვიტოს თანამშრომლობა.

1.4 უნივერსიტეტი, ყოველი ატესტაციის გამოცხადებისას განსაზღვრავს მინიმალური კომპენტენციის ზღვარს, რომლის დაუკმაყოფილებლობა, შესაძლოა გახდეს ასევე თანამშრომლობის შეწყვეტის საფუძველია.

1.5 აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფორმალურ მოთხოვნებს:

1.5.1 პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება აქვს. ამასთან, კლინიკურ მიმართულებებში არჩევისას პედაგოგიური – სულ მცირე 6 და კლინიკური - სულ მცირე ბოლო 9 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

1.5.2 ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულს იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო – პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება; ამასთან, კლინიკურ მიმართულებებში არჩევისას პედაგოგიური – სულ მცირე 3 და კლინიკური - სულ მცირე ბოლო 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

1.5.3 ასისტენტ - პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით (უნივერსიტეტის დატვირთვის გათვალისწინებით); ამასთან, კლინიკურ მიმართულებებში კლინიკური - სულ მცირე ბოლო 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

1.5.4 ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით (უნივერსიტეტის დატვირთვის გათვალისწინებით), ამასთან კლინიკურ მიმართულებებში არჩევისას უნდა იყოს დოქტორანტი კლინიკური მიმართულების;

1.5.5 მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე არჩევის შემთხვევაში კანდიდატების მიერ უნდა დადასტურდეს ენის ფლობის კომპეტენცია, ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი შემდეგი ფორმით:

- მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, **3 წლის** გამოცდილების დამდასტურებელი ცნობა;
- საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში, ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელების არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილების შესახებ ცნობა;
- საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელების არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილების შესახებ ცნობა;
- ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;
- ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert).

2. კონკურსანტების შეფასების კრიტერიუმები

2.1 აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, კანონით დადგენილ პირობებთან აუცილებელი შესაბამისობის გარდა, თითოეული კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს (აკადემიური თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით):

2.1.1 პედაგოგიური გამოცდილება.

2.1.2 სამეცნიერო საქმიანობა (ბოლო10 წლის):

2.1.3 სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი;

2.1.4 სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას;

2.1.5 სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა;

2.1.6 სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა, რეცენზირება, ოპონირება;

2.1.7 სადისერტაციო საბჭოს წევრობა;

2.1.8 საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა;

2.1.9 საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრობა;

2.2 ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე კრიტერიუმის არ არსებობა არ ზღუდავს უნივერსიტეტს, არჩევანი გააკეთოს პირის სასარგებლოდ, თუ იგი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ აუცილებელ მოთხოვნებს.

- **კონკურსის გამოცხადების წესი**

3.1 ვიცე-რექტორი წარუდგენს რექტორის საბჭოს აკადემიური პერსონალის საშტატო ნომენკლატურის პროექტს.

3.2 რექტორის საბჭოს მიერ საშტატო ერთეულების დამტკიცების შემდეგ, იქმნება საფუძველი კონკურსის გამოცხადებისათვის.

3.3 რექტორის საბჭო განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის შემადგენლობას, კონკურსის პირობებს და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რაც ფორმდება რექტორის ბრძანებით.

3.4 ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ საჯაროდ ქვეყნდება პრესაში, სასწავლებლის ოფიციალურ ვებ–გვერდზე, უნივერსიტეტის შენობაში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე.

- **კონკურსის ჩატარების ვადები**

4.1 კონკურსის გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ იწყება კონკურსანტების დოკუმენტაციის მიღება, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლებლის რექტორის ბრძანებით, მაგრამ არანაკლებ 2 და 3 კვირისა.

4.2 კონკურსი ტარდება საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადის დასრულებიდან არანაკლებ ერთი კვირისა და არა უმეტეს ერთი თვის ვადაში.

4.3 კონკურსის საბოლოო შედეგები ქვეყნდება კონკურსის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში.

- **საკონკურსო კომისია**

5.1 აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარებასა და კონკურსანტების პროფესიულ შეფასებას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია.

5.2 საკონკურსო კომისიის შემადგენლობა ყალიბდება რექტორის საბჭოს მიერ და მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

5.3 საკონკურსო კომისია, მისი წევრების ადმინისტრაციული ან/და აკადემიური თანამდებობის მიუხედავად, დამოუკიდებელია და მისი უფლებამოსილება განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად.

5.4 საკონკურსო კომისია დოკუმენტაციის განხილვისას ვალდებულია იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი.

5.5 საკონკურსო კომისიაში არ შეიძლება შედიოდნენ კონკურსის მონაწილენი.

5.6 საკონკურსო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების ვადით და წყდება კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე.

- **საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი**

6.1 საკონკურსო კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის სხდომაზე.

6.2 საკონკურსო კომისიის სხდომაზე მოიწვევა საკონკურსო კომისიის ყველა წევრი.

6.3 საკონკურსო კომისის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საკონკურსო კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

6.4 საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავჯდომარის ხმა.

6.5 სხდომის დროს დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.

6.6 საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიტანება ოქმში.

6.7 საკონკურსო კომისიის მდივანი ვალდებულია უზრუნველყოს საკონკურსო კომისიის სხდომის დროულად მომზადება და ხელმოსაწერად წარმოდგენა, ასევე წარმოებული კომისიის ოქმების აღრიცხვა.

6.8 საკონკუროს კომისიის ოქმი წარედგინება რექტორის საბჭოს, რომელიც კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ამტკიცებს რექტორის ბრძანებით.

აკადემიური თანამდებობის ვაკანტური ადგლის დაკავების მიზნით კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

1. განცხადება დადგენილი ფორმით და წინასწარი თანხმობა აფილირების შესახებ.

2. დადგენილი ფორმით შევსებული ანკეტის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები.

3. Curriculum Vitae (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები), რომელიც უნდა მოიცავდეს:

3.1. პირად ინფორმაციას - სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;

3.2. განათლება - წლები, სასწავლებლის დასახელება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, კვალიფიკაცია, ქვეყანა;

3.3. სამუშაო გამოცდილება - მუშაობის წლები, ორგანიზაციის დასახელება, თანამდებობა, მოვალეობები, მიღწევები, ქვეყანა;

3.4. ტრენინგები და კონფერენციები - თარიღი, დასახელება, ორგანიზატორი, ქვეყანა;

3.5. პროფესიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრობა;

3.6. ენების ცოდნა

3.7. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა - მიუთითეთ კომპიუტერული პროგრამების ჩამონათვალი და ცოდნის დონე;

3.8. დამატებითი ინფორმაცია - სპეციფიკური უნარ-ჩვევები, პუბლიკაციები და სხვა.

4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

5. ფერადი ფოტოსურათი 3X4 (1 ცალი).

6. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში აღიარების შესახებ დოკუმენტი).

7. სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში აღიარების შესახებ დოკუმენტი).

8. დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ კონკურსანტი დოქტორანტია.

9. საექიმო სერტიფიკატის ასლი (ვაკანტური აკადემიური თანამდებობის მიმართულების გათვალისწინებით).

10. პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა ან/და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.

11. შრომების და პუბლიკაციების ჩამონათვალის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები (დადგენილი ფორმით).

12. შესაბამის დარგში კონკურსანტის კომპეტენტურობის დამადასტურებელი ბოლო 10 წლის სამეცნიერო შრომების და პუბლიკაციების პირველწყაროების ასლები.

13. პროფესიული ორგანიზაციის (საზოგადოების) წევრობის დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

14. კონფერენციებში მონაწილეობის სერტიფიკატები და მათი ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

მოწვეული პერსონალის მიერ წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის ნუსხა:

1. პირადობის ასლი;
2. ფერადი ფოტოსურათი 3X4 (1 ცალი);
3. Curriculum Vitae;
4. დიპლომის ასლი;
5. საექიმო სერტიფიკატის ასლი (აუცილებელია კლინიკურ დისციპლინებში სწავლებისთვის);
6. დარგის (სამედიცინო და/ან სპეციალობის, რომელშიც იგეგმება პედაგოგის მოწვევა) ორი წარმომადგენლის (ერთ მათგანი აუცილებლად დტსუ პროფესორი) წარდგენა-რეკომენდაცია;
7. პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი [(i) ჩატარებული კურსი/კურსები უმაღლესი სასწავლებლის, წლების, ჩატარებული საათების რაოდენობის მითითებით, ბეჭედ დასმული და ხელმოწერილი სათანადო პასუხისმგებელი პირის მიერ; (ii) და/ან სათანადო პედაგოგიური მომზადების (ტრენინგი სამედიცინო განათლებაში, ა.შ.) სათანადო სერტიფიკატის წარდგენით(ასეთის არსებობის შემთხვევაში)];
8. აკადემიური ან სამეცნიერო ხარისხის დიპლომის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9. ბოლო 5 წლის სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი და მისი ასლები, CD-ზე ჩაწერილი ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
10. პროფესიული ორგანიზაციის (საზოგადოების) წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
11. ბოლო 5 წლის კონფერენციებში მონაწილეობის სერტიფიკატების ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ ვაკანტური თანამდებობის დაკავების მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ვაკანტური პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით დადგენილი დამატებითი კვალიფიკაცია/კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ფოტოსურათი 3×4;
- CV.

დასკვნითი დებულებები:

1. წინამდებარე წესი ძალაში შედის დამტკიცების შესახებ დადგენილი წესით სათანადო აქტის გამოცემის დღიდან.
2. წინამდებარე წესის პირველი თავის მე-2 და მე-3 პუნქტების შენიშვნები (შენიშვნა[2] და შენიშვნა[3] ძალაში შედის დარგობრივი დოკუმენტით გათვალისიწნებულ ვადაში, კერძოდ არაუგვიანეს 2025 წლის 16 მაისისა.

რედაქტირების თარიღები:

რედაქტირება - რექტორის 2017 წლის 01 დეკემბერის ბრძანება N60 (აკადემიური საბჭო)
რედაქტირება - რექტორის 2021 წლის 15 ივნისის ბრძანება N44 (აკადემიური საბჭო)
რედაქტირება - რექტორის 2022 წლის 27 იანვრის ბრძანება N11 (აკადემიური საბჭო)
რედაქტირება - რექტორის 2023 წლის 04 აპრილის ბრძანება N51 (აკადემიური საბჭო)
რედაქტირება - რექტორის 2024 წლის 12 აგვისტოს ბრძანება N 51 (აკადემიური საბჭო)